

საქართველო: ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის (ქვეშეთი-კობი) გზის პროექტი

ფაქტობრივი ინფორმაცია
სექტემბერი, 2019



მიმოხილვა

ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო დერეფნის გაუმჯობესება საქართველოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. დერეფანი ხელს უწყობს მთელი ქვეყნის დაკავშირებას როგორც მეზობელ ქვეყნებთან, ისე რეგიონთან და სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტისა და ვაჭრობის ქსელის განვითარებისათვის.

ამ დროისთვის, დერეფნის სხვადასხვა მონაკვეთი განახლებული და მოდერნიზებულია, თუმცა ცენტრალური მონაკვეთი, რომელიც აკავშირებს ქვეშეთს კობთან ჯერის უღელტეხილის გავლით ზღვის დონიდან 2 400 მეტრზე, საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას. არსებული 35 კილომეტრიანი გზა საფრთხის შემცველია, ხშირია საცობები და ზამთარში ზვავსაშიშროებისა და რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო ხშირად იზღუდება დიდი სატვირთო მანქანებისთვის, რაც შემთხვევებში კი სრულიად იკეტება.

ახალი შემოვლითი გზის მშენებლობა ქვეშეთიდან კობის მიმართულებით მზარდ სატრანსპორტო გადაადგილებას მთელი წლის მანძილზე უსაფრთხოს გახდის.

საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერა 415 მილიონი აშშ დოლარის სესხის ხელშეკრულებას ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის (ქვეშეთი-კობი) გზის პროექტის დასაფინანსებლად და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს მიმართა 60 მილიონი აშშ დოლარის (ეკვივალენტი) დაფინანსების გამოსაყოფად. თანადაფინანსების სახით მთავრობა გაიღებს 83,6 მილიონ აშშ დოლარს, რათა დაფაროს გადასახადები და ვალდებულებები, მიწის გამოსყიდვისა და განსახლების დანახარჯები.

აბ-ს მხარდაჭერა

- სამგზავრო პირობების გაუმჯობესებასთან და დროის შემცირებასთან ერთად, გზის დაპროექტებისას გათვალისწინებულია ადგილობრივ გარემოსა და მაცხოვრებლებზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება.
- 415 მლნ. დოლარის დაფინანსების გარდა, პროექტიდან მაქსიმალური სარგებლის მისაღებად, აგბ საქართველოსთვის წარმატებული საერთაშორისო პროექტების გამოცდილების გაზიარებას უზრუნველყოფს.
- პროექტის ფარგლებში აგბ-მ გამოყოფს გრანტი პროექტის გარემოსა და სოციალური დაცვის მოთხოვნების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

პროექტის აღწერა

არსებული გზის სტატუსი

- ამჟამად გზის გამტარუნარიანობა არ შეესაბამება ტრანსპორტის მოძრაობის მოცულობას (3-4 ათასი ავტომობილი დღეში), რაც იწვევს მაგისტრალის გადატვირთვას, ჰაერის დაბინძურებას და ავტოსაგზაო შემთხვევებს. მოძრაობა 35%-მდე ფერხდება და, პროგნოზით, ეს მაჩვენებელი გაორმაგდება მომდევნო 15 წელიწადში.
- გზის განმედა ზამთრის პერიოდში რთულია და ამიტომ ხანგრძლივი პერიოდით იკეტება (საშუალოდ, წელიწადში 44 დღე, 2012-2016 წლების მონაცემებით).
- არსებული გზა სამგზავროდ საშიშია. 2012-2017 წლებში აღრიცხული საავტომობილო შემთხვევებიდან ექვსი სასიკვდილო შედეგით და 89 სერიოზული დაზიანებებით დასრულდა.
- ღია გვირაბები იმდენად ვიწროა, რომ თანამედროვე სატვირთო მანქანების ორმხრივ საგზაო მოძრაობას ვერ უზრუნველყოფს.
- შეფერხებული ტრანსპორტირება უარყოფითად აისახება ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაზე, მათ შორის, ადგილობრივ ტურიზმსა და სოფლის მეურნეობაზე.

ახალი გზის უპირატესობები

- ახალი შემოვლითი გზა უზრუნველყოფს ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებას, ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას, შექმნის სამუშაო ადგილებს და გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებს.
- სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, რომელიც ზამთარში გზის დაკეტვასთან ერთად მონყვეტილია ეკონომიკურ და სოციალურ მომსახურებებს, მათ შორის სკოლასა და საავადმყოფოს, ისარგებლებს ახალი გზით.
- საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესება, მათ შორის დასახლებულ პუნქტებში, განტვირთავს გზას და შეამცირებს ავტოსაგზაო შემთხვევებს. ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად აგებული გვირაბი გვერდს აუვლის ზვავსაშიშ მონაკვეთებს.
- ახალი გზის დაპროექტებისას გათვალისწინებულია საქართველოს მდიდარი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება; უმჯობესდება რეკრეაციული და ბუნებრივი ტერიტორიების, მათ შორის გუდაურის სათხილამურო კურორტისა და ყაზბეგის ეროვნული პარკის, ხელმისაწვდომობა, რაც ქმნის ტურისტული პოტენციალის შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს.

ფაქტები

• სიგრძე

ახალი შემოვლითი გზა 23 კმ სიგრძისაა და არსებულზე 12 კმ-ით მოკლეა.

• 2 ზოლიანი, ასფალტირებული გზა

გზას ორივე მიმართულებით თითო ზოლი ექნება, ასევე დამატებითი ზოლი სატვირთო მანქანებისთვის.

• 5 გვირაბი და 6 ხიდი

გზა მოიცავს 5 გვირაბს, რომელთა საერთო სიგრძე 11 კმ-ია, ხოლო ყველაზე გრძელი გვირაბის სიგრძე 9 კმ-ს შეადგენს. 6 ხიდი საერთო სიგრძით 1,6 კმ., მათ შორის ერთ-ერთი ბეტონის თაღოვანი ხიდი ხადისწყლის მდინარეზე გადის.

• ადგილობრივი გზების ქსელი

პროექტის ფარგლებში გაუმჯობესდება 5 კმ. სიგრძის ადგილობრივი გზები, რომლებიც უკავშირდება საპროექტო მაგისტრალს.

პროექტის დაფინანსება

პროექტის სრული ღირებულება 558,6 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

ADB (აგბ)	415 მლნ \$
EBRD	60 მლნ \$
საქართველოს მთავრობა	83,6 მლნ \$
ჯამური ღირებულება	558,6 მლნ \$

ბარემოზე გამოქმედება

- ჩატარდა საპროექტო ტერიტორიის გარემოზე ზემოქმედების ფართომასშტაბიანი შეფასება. შეფასება მოიცავს ბიომრავალფეროვნების, წყლის, ჰაერისა და ხმაურის, არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის კვლევას. ასევე მოხდა ხმაურისა და ვიბრაციის მოდელირება.
- საპროექტო ტერიტორიის ფუნქციონირების და ფლორის კვლევები ჩატარდა დაცული სახეობების არსებობის გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ფრინველთა ფაუნაზე კობის რაიონში, რომელიც მდებარეობს ყაზბეგის ეროვნულ პარკთან ახლოს, ფრინველთა დაცვის სპეციალურ სივრცეში (SPA 9).
- არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის კვლევისას გამოვლინდა და დარეგისტრირდა კულტურული ძეგლები და არქეოლოგიური მნიშვნელობის პოტენციური ადგილები.
- პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება მოიცავს სისტემურ შედარებას პროექტის შესაძლო ალტერნატივებთან (ადგილმდებარეობის, ტექნოლოგიების, დაგეგმვისა და ოპერირების გათვალისწინებით). თითოეული ალტერნატივის შეფასება ხდება ადგილობრივ გარემოპირობებზე პოტენციური ზემოქმედების, შემარბილებელი ღონისძიებების მიზანშეწონილობის, კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების შესწავლით; ასევე, ნარჩენების ზემოქმედების შეფასებით ბუნებაზე, სოციალურ გარემოსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე.
- საქართველოს რეგიონების მდიდარი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის გათვალისწინებით, ნებისმიერი საშუალო, რაც პოტენციურ გავლენას მოახდენს ბიომრავალფეროვნებასა თუ კულტურულ ძეგლებზე, ეკოლოგიებისა და არქეოლოგიების კონსულტაციების საფუძველზე ჩატარდება. მომზადდა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა და ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა. დაკონტრაქტდებიან კულტურული მემკვიდრეობის ზედამხედველები.

სოციალური გამოქმედება

- პროექტის განსახორციელებლად აუცილებელია პროექტის არეალის ფარგლებში და მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებისა და საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვა. ამ მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად შემუშავდა მიწის შესყიდვისა და განსახლების სამოქმედო გეგმა (LARP).
- პროექტი გავლენას მოახდენს ზოგიერთ ადგილობრივ თემზე როგორც მშენებლობის, ისე გზის ფუნქციონირების პროცესში. სიღრმისეული კვლევა ჩატარდა ისეთი ასპექტების შესასწავლად, როგორც: ტრანსპორტის მოძრაობა, ხმაური, დამტვერიანება, ვიბრაცია და სხ. გამოვლენილია ამ გეგვარების შესამსუბუქებელი ზომები და ასახულია პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში.

საჯარო კონსულტაციები

საქართველოს მთავრობა თანახმაა, აგბ-ს 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის დადგენილების შესაბამისად, ჩაატაროს საჯარო კონსულტაციები, რომლებშიც სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ის ადამიანები, რომელთაც უშუალოდ შეეხება პროექტის შედეგად მომხდარი ცვლილებები.

2019 წლის ივნისის მდგომარეობით, 45 საჯარო შეხვედრაზე მეტი გაიმართა როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან, ისე სამოქალაქო საზოგადოების და სამეცნიერო წრის, რეგიონული და ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლებთან.

აგბ-ს უსაფრთხოების პოლიტიკის მიზანია:

- შეძლებისდაგვარად, თავიდან იქნას აცილებული პროექტის უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე და იმ მოსახლეობაზე, რომელიც პროექტის არეალში იმყოფება.
- პროექტის უარყოფითი ზემოქმედება გარემოსა და ადგილობრივ მოსახლეობაზე მინიმუმამდე შემცირდეს, შესუბუქდეს და/ან გაიყოს კომპენსაცია საჭიროებისამებრ იმ გარემოებებში, როდესაც უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება ვერ ხერხდება.
- დაეხმაროს პროექტის განმახორციელებელ მხარეს, გააძლიეროს უსაფრთხოების სისტემები და განავითაროს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის შესაძლებლობები.

აგბ შეძლებს თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან, რათა უზრუნველყოს პროექტის შესახებ არსებული ინფორმაციის საჯაროობა. აღნიშნული ინფორმაციის დროული და გასაგები ენით მიწოდება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობისთვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის, რათა შესაძლებლობა მიეცეთ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

მედი ინფორმაციისთვის:
აგბ-ის განმკვიტრების ბანკი

პროექტის ვებგვერდი:

<https://www.adb.org/projects/51257-001/main>

უსაფრთხოების დოკუმენტაცია:

www.safeguardlinks.org

საკონტაქტო პირი:

კამელ ბუმადი

ტრანსპორტის სექტორის სპეციალისტი
ტრანსპორტისა და კომუნიკაციის დანაყოფი
ცენტრალური და დასავლეთ აზიის
დეპარტამენტი

Kbouhmad@jadb.org

საქართველოს მთავრობა

პროექტის განმახორციელებელი

სააგენტო:

საქართველოს საავტომობილო გზების
დეპარტამენტი

www.georoad.ge

Building Better Georgia:

<http://build.gov.ge/projects>

პროექტის აღმასრულებელი სააგენტო:

საქართველოს რეგიონული

განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტრო

ა. ყაზბეგის გამზ. 12, თბილისი

საქართველო 0160

საკონტაქტო პირი:

ლევან კუპატაშვილი

თავმჯდომარის მოადგილე

საქართველოს საავტომობილო გზების

დეპარტამენტი

[Info\(@\)georoad.ge](mailto:Info(@)georoad.ge)